<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---მაისი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მელაანის I შესახვევისთვის და გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთისთვის სპორტსმენის დავით ციმაკურიძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, მელაანის I შესახვევს და გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს სპორტსმენის დავით ციმაკურიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

გუჯარეთის II ქუჩა
1 : 3156

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011773616317023

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405

 # 22428

03 / თებერვალი / 2023 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარეს ნინო ვარდოსანიძეს

ასლი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო
სამსახურის უფროსს ბატონ გიორგი აბუთიძეს

ქალბატონო ნინო,

2023 წლის 25 იანვარს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო“) წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის N 14-01230253918 (დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ნომერი: 18696/17) მომართვა, რომლითაც მოთხოვნილი იქნა გუჯარეთის II ქუჩაზე მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სისტემური ნუმერაცია სიტუაციური რუკის სახით, ასევე მითითებულ ქუჩებზე დასანომრი ობიექტების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია.

გაცნობებთ, რომ სააგენტოს სამისამართო რეესტრში რეგისტრირებულია გეოგრაფიული ობიექტი შემდეგი სახელწოდებით: „გუჯარეთის II ქუჩა“ (სამისამართო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველი: ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მიერ 2008 წელს გამოცემული ენციკლოპედია „თბილისი. ქუჩები, გამზირები, მოედნები“).

შეგახსენებთ, რომ უძრავი ნივთებისთვის ნუმერაციის მინიჭებისას სააგენტო ხელმძღვანელობს "საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონისა და და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის № 487 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციით დადგენილი წესებით, რომლის თანახმად ნუმერაცია იწყება დასახლების ცენტრიდან და თანმიმდევრობით გრძელდება გარეუბნების (პერიფერიების) მიმართულებით. დასახლების ცენტრიდან ქუჩის, ჩიხის, შესახვევის მარჯვენა მხარეს არსებულ ობიექტებს ენიჭებათ კენტი ციფრი, ხოლო მარცხენა მხარეს - ლუწი ციფრი.

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლისას დადგენილ იქნა, რომ გუჯარეთის II ქუჩის მიმდებარედ არსებული უძრავი ნივთებისთვის, თავად ამ ქუჩის გეოგრაფიული მოხაზულობის, განფენილობის გათვალისწინებით, ნუმერაციის მინიჭება შეუძლებელია, ვინაიდან ქუჩას არ აქვს ქუჩისთვის აუცილებელი ძირითადი მახასიათებელი - ერთი დასაწყისი და ერთი დასასრული წერტილი. ცენტრიდან პერიფერიის მიმართულებით ქუჩა იყოფა სხვადასხვა მიმართულების განტოტებებად და აქვს ერთგვარი ქსელური ხასიათი (იხ. დანართი №1).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ შუამდგომლობით შეაფასოთ შესაბამისი ტერიტორია, ქუჩის არსებული მოხაზულობა და იმსჯელოთ გეოგრაფიული ობიექტის დაყოფის (ცვლილების) შესაძლებლობაზე.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბ-ნ გიორგი ტყემალაძეს

მოქ. დავით ციმაკუჩოძე
მცხ. ვ. კოტეტიშვილის ქ. №6
ტელ. 591-41-00-27
პ/ნ: 01017021835

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგესალმებით თხოვნით, თუ შეიძლება, ჩვენს ოჯახს ერთვეული ქონებრივი ოლიმპიაკა ჩვენი ინვალიდობის მოტივაციის დავით (ემუხი) ციმაკუჩოძის სახელი მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ნებართვის ქუჩას.

წინასწარ დიდი მადლობა.

19 მაისი 2022 წ.

დ. ციმ

ქ. თბილისის მერის

აჯილდოვებს

სპორტის დაესახურებულ ოსტატს ოლიმპიური თამაშების პირველ

ჩემპიონს საქართველოდან თავისუფალ ჭიდაობაში

დავით მიხეილის-ძე ციმაკურიძეს

სპეციალური სიგელით

ქართული სპორტის განვითარების საქმეში განსაკუთრებული

დამსახურებისათვის.

ქ. თბილისის მერი

ნ. ლეკიშვილი

[redacted]

საქართველოს
ეროვნული
ოლიმპიური
კომიტეტი

თბილისი 0105, მაჩაბლის ქ. №11
ტელ.:(+995 32) 251 00 57; (+995 32) 293 43 42
ფაქსი: (+995 32) 293 43 42
E-mail: info@geonoc.org.ge

საქართველო
GEORGIA

GEORGIAN
NATIONAL
OLYMPIC
COMMITTEE

11 Machabeli str., Tbilisi,0105
Tel.: (+995 32) 251 00 57; (+995 32) 293 43 42
Fax: (+995 32) 293 43 42
E-mail: info@geonoc.org.ge

602

31.05.2022 წ.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

მოგეხსენებათ, თბილისის არაერთი ქუჩა ატარებს გამოჩენილი ქართველი სპორტსმენების სახელს. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია სპორტის პოპულარიზაციისთვის, ასევე თვალსაჩინო მაგალითი იმისა, როგორი პატივისცემით და გულისხმიერებით ეპყრობა ჩვენი დედაქალაქი იმ ადამიანების ღვაწლს, რომლებმაც სახელი და დიდება მოუტანეს საქართველოს.

სამწუხარო და დასანანია, რომ თბილისში დღემდე არ არის სახელოვანი ფალავანის, პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენის კავალერის დავით ციმაკურიძის სახლობის ქუჩა, იმ ადამიანისა, რომელმაც ქართულ სპორტს გზა გაუკვალა უმაღლესი ოლიმპიური მწვერვალისკენ.

აქვე გაცნობებთ, რომ წლეულს აღვნიშნავთ 70 წლის საიუბილეო თარიღს ქართველ სპორტსმენთა დებიუტისა ოლიმპიურ თამაშებზე. სწორედ 70 წლის წინ, ჰელსინკიში მოიპოვა დავით ციმაკურიძემ ისტორიული ოლიმპიური ოქროს მედალი.

მოგმართავთ თხოვნით, განიხილოთ და დადებითად გადაწყვიტოთ საკითხი შესაფერისი ქუჩისთვის დავით ციმაკურიძის სახელის მინიჭების თაობაზე.

პატივისცემით,

სეოკ-ის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი

დავით ციმაკურიძე

(1925,-2006)

ქართველი და საბჭოთა სპორტსმენი, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე. საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი. საპატიო ნიშნის ორდენის, ღირსების ორდენისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირიდან, თბილისის საპატიო მოქალაქე.

დაიბადა 1925 წლის 26 მარტს ფოთში. დავით ციმაკურიძის მამა, მიშიკო მაჩაბლის ფსევდონიმით ცნობილი მიხეილ ციმაკურიძე ერთ-ერთი უკანასკნელი იყო ქართველი პროფესიონალი ფალავნების კოჰორტაში, რომლებიც ცირკის ნახერხმოყრილ არენაზე ჭიდაობდნენ, არაერთი გამარჯვება მოუპოვებიათ და სახელი გაუთქვიათ არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთის მთელ იმპერიაში.

ადრეულ ასაკში დავითს მალარია შეეყარა და ციმაკურიძეების ოჯახი თბილისში მთაწმინდაზე გადმოვიდა საცხოვრებლად. სწავლობდა პირველ საშუალო სკოლაში, სადაც სპორტს დიდი ყურადღება ექცეოდა. მანაც სპორტის რამდენიმე სახეობაში სცადა ძალები, მათ შორის ველორბოლაში, ტანვარჯიშში (ცნობილი მწვრთნელის, არჩილ ბაქრაძის ხელმძღვანელობით), კრივსა და ფეხბურთში (თამაშობდა თბილისის განათლების განყოფილების საფეხბურთო გუნდის „აისის“ მარცხენა გარემარბად). 12 წლის იყო, როდესაც მამა ზესტაფონში გადაიყვანეს სამუშაოდ და მიხეილ ციმაკურიძემ ოჯახიც თან წაიყვანა. მათ ეზოში დავითის რამდენიმე თანატოლი ცხოვრობდა და როგორც თვითონ იხსენებდა, სწორედ მათ გაუღვივეს ჭიდაობის მიმართ ინტერესი და სიყვარული.

ორი წლის შემდეგ თბილისში დაბრუნდნენ, სადაც მაშინდელ ორჯონიკიძის ქუჩაზე მოჭიდავეთა სამჭედლოდ წოდებულ პეტრე იორდანიშვილის დარბაზში მივიდა. რამდენიმე თვეში დავითმა თანატოლებს შორის თბილისის პირველობაზე გაიმარჯვა.

მომავალმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა პირველი სერიოზული გამარჯვება 1942 წელს იზეიმა — ბათუმში კლასიკურ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატი მოიგო, რომელშიც რესპუბლიკის წარმომადგენლებთან ერთად გამოდიოდნენ ბათუმის ნავსადგურში მდგარი გემების „კრასნი კრიმისა“ და „კრასნი კავკაზის“ მეზღვაურები. მათ დაემატნენ ფოთში მდგარი ხომალდის „პარიჟსკაია კომუნას“ ეკიპაჟის წევრებიც. დავით ციმაკურიძემ ყველა შეხვედრა მოიგო. აღსანიშნავია, რომ მომდევნო წლებშიც (1943–1944) იგი კლასიკურ ჭიდაობაში გამოდიოდა, თუმცა სპორტული დიდება და აღიარება თავისუფალი სტილით ჭიდაობამ მოუტანა. (მერე მსგავს წარმატებას 13-ჯერ მიაღწია თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობებში). სამი წლის შემდეგ პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც მაშინ საბჭოეთში ახალი ხილი იყო და „ამერიკულ ჭიდაობად“ მოიხსენიებდნენ. ფინალში ცნობილი ფალავნის — ნესტორ ესებუას ვაჟი შოთა ესებუა დაამარცხა და პრიზად 6 ათასი მანეთი ერგო. მომდევნო წელს თბილისის ცირკში ტიტული შეინარჩუნა და მერე კიდევ ხუთჯერ მიაღწია მსგავს წარმატებას.

1945 წელი გამორჩეული გამოდგა დავით ციმაკურიძის სპორტულ ბიოგრაფიაში. იმ წელიწადს ლენინგრადში ჩატარდა საკავშირო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელმაც თავი მოუყარა ჭიდაობის საბჭოთა სკოლის თითქმის ყველა იმდროინდელ ვარსკვლავს. ოცი წლის დავით ციმაკურიძის გარდა, პირველობაზე მონაწილეობდნენ უკვე სახელმოხვეჭილი ფალავნები — არსენ მეკოკიშვილი, ვაღარშაკ მაჩკალიანი და ვასილ ილურიძე. ოთხივე საქართველოდან იყო (თუმცა მეკოკიშვილი მოსკოვის სახელით გამოდიოდა) და ოთხივემ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. საშუალო წონით კატეგორიაში საკმაოდ ძლიერი მოჭიდავეები გამოდიოდნენ. თითქმის ყველა ციმაკურიძეზე გამოცდილი იყო, მაგრამ უკვე მაშინვე ყველასთვის ცხადი გახდა ქართველი ფალავნის განსაკუთრებული სპორტული მონაცემები და მებრძოლი ხასიათი, რომელმაც მთელი ტურნირი წაუგებლად განვლო.

1952 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშებზე ჰელსინკში დავით ციმაკურიძე, მედეა ჯუღელი და რაფაელ ჩიმიშკიანი იყვნენ პირველი სპორტსმენები საქართველოდან, რომლებმაც ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალი მოიპოვეს.

1954 წელს თბილისის ცირკში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ამხანაგურ შეხვედრაში იაპონიის ნაკრებს 6:2 სძლია. დავით ციმაკურიძემ მეტოქეს, კაცურამოტოს მოუგო და კარიერა გამარჯვებით დაასრულა.

1956 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მელბურნის ოლიმპიადაზე გუნდური პირველი ადგილი დაიკავა. დავით ციმაკურიძე ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი იყო და ამ წარმატებისთვის საქართველოს და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა.

2003 წელს დავით ციმაკურიძეს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

2011 წელს, სერიაში „ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები“ (პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი ელგუჯა ბერიშვილი) გამოიცა პაატა ნაცვლიშვილის წიგნი „დავით ციმაკურიძე“.

დავით ციმაკურიძის ოლიმპიური ოქროს მედალი დღეს ქართული სპორტის მუზეუმში ინახება.